

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ინფორმაციის თავისუფლების საქმეებზე გასაჩივრების ვადები სასამართლოების მიერ კანონსაწინააღმდეგოდ განიმარტება

2010 წლის 4 ნოემბერს საიამ გაავრცელა [ინფორმაცია](#) თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარდგენილი სარჩელის დაუშვებლად ცნობის თაობაზე. მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილმა მიგვითითა, რომ სარჩელი წარდგენილი იყო დაგვიანებით, ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოს ჩვენს მიერ წარდგენილი საჩივარი უნდა განეხილა არა 1 თვის, არამედ 15 დღის ვადაში, ზაკ-ის მე-100 მუხლის შესაბამისად.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საიამ მიიღო იმავე მოსამართლის მიერ მიღებული კიდევ ერთი გადაწყვეტილება. იმავე მოსამართლემ ამჯერად მიგვითითა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს საჩივარი უნდა განეხილა არა 1 თვის ან 15 დღის, არამედ 10 დღის ვადაში, ზაკ-ის მე-40 მუხლის შესაბამისად.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჩივრის განხილვის ვადას მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული პირის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის 1 თვიანი ვადის ათვლის მიზნებისათვის. შესაბამისად, სასამართლოს მიერ მოწოდებული ვადების "ახლებური" განმარტება წარმოადგენს ინფორმაციის ტავისუფლების შეზღუდვის ირიბ მექანიზმს.

უკანასკნელ საქმეში საია პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან ითხოვდა სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე პრეზიდენტის მიერ 2008 და 2009 წლებში მიღებული განკარგულებების ასლებს. ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელის დაუმჯავებლად მიჩნევა გავასაჩივრეთ კერძო საჩივრით სააპელაციო სასამართლოში. დღეს, 24 დეკემბერს მივიღეთ სააპელაციო სასამართლოს განჩინება. მოსამართლე ნანა ჭიჭილეიშვილმა არ დააკმაყოფილა ჩვენი კერძო საჩივარი და მიიჩნია, რომ საიას სარჩელები წარდგენილი იყო გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ. მოსამართლის ეს კანონსაწინააღმდეგო მსჯელობა მართალიც რომ იყოს, საიას ერთ-ერთი სარჩელი მის მიერ მითითებულ ვადებშია წარდგენილი. ამის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება ჩვენს საზიანოდ იქნა მიღებული - საქმეზე წარმოება შეწყდა. აღნიშნული განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საია მიიჩნევს, რომ უკანასკნელ პერიოდში ინფორმაციის თავისუფლების საქმეებზე განვითარებული პრაქტიკა სრულ წინააღმდეგობაში მოდის კანონთან და წარმოადგენს მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვის ნათელ დასტურს.